პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 85 (11391)
სამშაბათი
14
აპრილი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა მოასწავებს ჩვენი სამშობლოს შესვლას თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ პარტიის XXI ყრილობის მსოფლიო-ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

## ლენინური პარტიის მგზნებარე მოწოდებანი

### „პრავდის" 13 აპრილის მოწინავე

პირველი მაისის — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღის წინ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის მოგვმართავს მოწოდებებით, რომლებშიც ასახულია ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

წელს პირველი მაისის დღესასწაული მოეწყობა სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა მოასწავებს ჩვენი სამშობლოს შესვლას თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ პარტიის XXI ყრილობის მსოფლიო-ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას!

ერთსულოვნად მოიწონა რა საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, სკკპ XXI ყრილობამ დაავალა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას კვლავაც დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იბრძოლონ ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომი ყოველმხრივი გადიდებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის. XXI ყრილობის ამ იდეებით გამსჭვალულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. ძმურად მიესალმება რა ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ჩვენი დიადი ლენინური პარტია მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაულის წინ აცხადებს:

— დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა მოქმედების ერთიანობა! გაუმარჯოს მშრომელთა ყველა ორგანიზაციის თანამშრომლობას ხალხთა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

— მგზნებარე სალამი ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ავანგარდს ხალხთა მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

— გაუმარჯოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ურღვევ ძმურ ერთობასა და დარაზმულობას!

მოუწოდებს რა ხალხებს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საყოველთაო უშიშროებისათვის, გადაჭრით ამხილონ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს იმ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზე პირველ რიგში დამოკიდებულია ომის თავიდან აცილება, მშვიდობის განმტკიცება. საჭიროა მთელი სიმტკიცით ვაღწევდეთ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტას, მის აკრძალვას სამუდამოდ, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებას, „ცივი ომისა" და საერთაშორისო დაძაბულობის შეწყვეტას. ამ კეთილშობილური მიზნებით დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა, მათი მიღწევის დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უსწრაფესი დადება და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია.

სკკპ XXI ყრილობამ თავის რეზოლუციაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სოციალისტური ქვეყნების დიადი ბანაკი. ეყრდნობიან რა სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეუძლიათ ხელი აღებინონ იმპერიალიზმის აგრესიულ წრეებს ახალი ომების გაჩაღების გეგმებზე. ეს ნიშნავს, რომ დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, ზოგიერთ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისას, შეიძლება წარმოიშვას რეალური შესაძლებლობა მსოფლიო ომის გამორიცხვისა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

— გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ურყევ ბურჯს! დაე მტკიცდებოდეს და ჰყვავოდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიადი მეგობრობა!

გამოხატავენ რა მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლიან დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს, გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი ძმურ სალამს უთვლიან ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, მიესალმებიან იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს.

საბჭოთა ადამიანების მხურვალე და გულწრფელი სიმპათია მუდამ იყო იმ ხალთა მხარეზე, რომლებიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავიანთი სამშობლოს პროგრესისათვის. პირველი მაისის დღესასწაულის წინ ჩვენი ქვეყნის მშრომელები მიესალმებიან დიდ ინდოელ ხალხს, ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, კამბოჯის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის ხალხებს, არაბული აღმოსავლეთის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხებს, ყველას, ვინც იბრძვის მშვიდობისათვის, თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კოლონიზატორთა და მათ ხელშემწყობთა უღლის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები დიდად თანაუგრძნობენ იაპონელი ხალხის სამართლიან ბრძოლას უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის, თავიანთი სამშობლოს მშვიდობიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკაა, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი კვლავ და კვლავ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა ხალხი ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის ხალხებთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებთან და მთელ პროგრესულ ძალებთან, იტალიის, ფინეთის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გულწრფელი მომხრეა.

მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, საბჭოთა ხალხს არ შეუძლია ამავე დროს ჯეროვნად არ შეაფასოს იმპერიალისტ აგრესორთა მიერ ომის გაჩაღების შესაძლებლობა. ეს გვავალებს გამოვიჩინოთ უდიდესი სიფხიზლე, ვიყოთ მზად, დაუცხრომლად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას ჰქონდეს საიმედო და მიუვალი დაცვა. და ასეთი დაცვა ჩვენ გვაქვს!

— გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე!

შევედით რა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, პარტია და საბჭოთა ხალხი გამსჭვალული არიან მისწრაფებით კვლავაც განამტკიცონ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, განავითარონ სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო.

ახლანდელი საპირველმაისო დღესასწაული ჩვენი დიადი შვიდწლედის პირველი გაზაფხულის დღესასწაულია. საბჭოთა ადამიანები მას ხვდებიან შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის შრომითი ინიციატივის ბევრი გამოვლინებით. მილიონობით მშრომელთა გულში მხურვალე გამოძახილს ჰპოვებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, რომლებიც ახალი შრომითი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებენ:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმა, მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას! წინ, ახალი გამარჯვებისაკენ კომუნისტურ მშენებლობაში!

— ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! უზრუნველვყოთ ისტორიული ამოცანის შესრულება — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქ- [illegible]

[illegible] ბრუნვა, უფრო ფართოდ გამოიყენეთ ნოვატორთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება!

იბრძოლეთ იმისათვის, რომ მეტი რაოდენობით მიიღოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები 100 ჰექტარ მიწაზე!

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე შვიდწლიანი გეგმა სახავს სახალხო კეთილდღეობის შემდგომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მსუბუქი, კვებისა და თევზის მრეწველობის მუშაკებს გამოუშვან მასობრივი მოხმარების ეჭი მაღალხარისხოვანი საქონელი, მშენებლებს — გააძლიერონ საწარმოების, [illegible]

[illegible] ლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

— გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

## მოწინავე მესიმინდეთა რესპუბლიკური თათბირი

13 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოწინავე მესიმინდეთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირი, რომელსაც დაესწრნენ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, მიეძღვნა სიმინდის დამუშავების გაუმჯობესების, მისი უხვი მოსავლის მოყვანის საკითხებს.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

საკითხთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის არტელ „ახალგაზრდა კომუნისტის" კოლმეურნემ ამხ. **კ. ი. ანდღულაძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **მ. ს. დალაქიშვილმა,** წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. **გ. ი. დოლიძემ,** გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **შ. ი. ნიბლაძემ,** კასპის რაიონის სოფელ სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ვ. უზნაძემ,** გალის რაიონის სოფელ პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ლ. ვ. ჯანაშიამ,** ლაგოდეხის რაიონის გაზეთ „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. გ. ხუციშვილმა,** ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობნის კოლმეურნეობის მესიმინდემ ამხ. **ვ. ნ. ნანაძემ,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. **ა. ვ. რუხაძემ,** ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **შ. ვ. ჩალაძემ,** საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ამხ. **ი. ნ. ლალიძემ,** მარნეულის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **ო. ყ. გასანოვმა,** სიმინდის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს სასელექციო სადგურის დირექტორმა ამხ. **მ. კ. წულუკიძემ,** ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსმა ამხ. **გ. დ. ახალკაცმა,** ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **ბ. ნ. მუშკუდიანმა,** ქარელის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. **გ. ვ. სიხაშვილმა,** წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. **ი. ვ. ბალაშვილმა,** გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. **მ. კ. ყარამნიშვილმა.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის მოსავლიანობის გადიდებისათვის და მოუწოდეს მათ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **პ. ვ. კოვანოვმა, მ. ი. კუჭავამ** და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძემ.**

თათბირის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქინფორმი).

### პირველი მაისის შესახვედრად

## ახალი გამარჯვებისაკენ კომუნისტურ მშენებლობაში!



დიდი ინტერესით ეცნობა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს. სურათზე: საქსოვი საამქროს ქვეოსტატი, აგიტატორი ო. კახაძე მქსოველებს აცნობს მოწოდებების შინაარსს.

## მხარს ვუჭერთ მექანიზატორ გ. სიხაშვილის თაოსნობას

მანქანა - ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამდე წითლის მტსში ვმუშაობდი. ყოველ სამუშაოს დროულად და აგროწესების ზუსტად დაცვით ვასრულებდი. მაგრამ ზოგჯერ ვფერხდებოდი კიდეც. ახლა ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვმუშაობ აგრეგატის უფროსად. ჩვენ ახლა შეუფერხებლად მუშაობის ყველა პირობა გვაქვს.

„კომუნისტის" საშუალებით გავეცანი ქარელის რაიონის მოწინავე მექანიზატორის გიორგი სიხაშვილის მოწოდებას სათოხნი კულტურების დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლის შესახებ. ავწონდავწონე ჩვენი შესაძლებლობანი, გავითვალისწინე მუშაობის პირობები და აგრეგატის წევრთა სახელით ვალდებულება ავიღე სიმინდის ნათესი 100 ჰექტარზე კომპლექსურად დავამუშაოთ და თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 44 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ამასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ ჩვენი კოლმეურნეობის ის აგრეგატი, რომელსაც თეიმურაზ ტოკლიკიშვილი ხელმძღვანელობს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის უკვე დავიწყეთ ბრძოლა. კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდი 60 ჰექტარზე დავთესეთ. დანარჩენსაც სულ მალე მოვათავებთ და ამით პირველ მაისს წარმატებით შევხვდებით.

შვიდწლედის პირველი წლის წარმატებანი დიდი გეგმის შესრულებისათვის გადამწყვეტია. ჩვენც ვიქნებით შვიდწლედის მოლაშქრეთა ავანგარდში.

**გ. ტოკლიკიშვილი,**
**წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო აგრეგატის უფროსი.**

• • •

წელს ჩვენში გაზაფხული გვიან დაიწყო. ამიტომ ახლა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეული დღე, თვითეული საათი მინდვრის სამუშაოების აგროვადებში დასამთავრებლად. ჩვენმა ბრიგადამ სიმინდის დასათესად გეგმით უნდა მოხნას 477 ჰექტარი, უკვე მოხნული გვაქვს 310 ჰექტარი.

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით გავეცანით უკრაინელი მექანიზატორის ალექსანდრე გიტალოვის და ქარელელი გ. სიხაშვილის მუშაობის მეთოდს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ პატრიოტულ თაოსნობას და გადავწყვიტეთ 200 ჰექტარ ფართობზე სიმინდი დავამუშაოთ კომპლექსური მექანიზაციის წესით, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი მარცვლად.

ვამზადებთ ნიადაგს სიმინდის დასათესად. გუშინ მოვხანით 15 ჰექტარი ნაცვლად 10 ჰექტარისა. უკვე დავიწყეთ სიმინდის თესვა. ჩვენი პირობაა სიმინდის თესვა 25 აპრილამდე დავამთავროთ და ახალი მიღწევებით შევხვდეთ 1 მაისს.

ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ჩვენი რაიონის ჯიხაიშის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც ე. ჯავახაძე ხელმძღვანელობს.

**ო. ვაშაკიძე,**
**სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.**

## გუშინდელი დღის გმირები

### საკოლმეურნეო მინდვრებზე

#### წყალტუბო

საპირველმაისო წარმატებებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა. აქ მთლიანად დაამთავრეს 267 ჰექტარი ჩაის პლანტაციის გადაბარვა, ჩაის ბუჩქი გასხლეს 210 ჰექტარზე, სიმინდის სათესი ფართობები მოხნეს 220 ჰექტარზე. ახლა ხვნასა და პლანტაციების კულტივაციაზე 6 ტრაქტორს ამუშავებენ და ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

კოლმეურნეობის ტრაქტორისტები რ. სულდაძე და გ. კილაძე დღეში ხნავენ 12-14 ჰექტარს თვითეული ნაცვლად 10 ჰექტარისა. აქ კარგად მუშაობენ მაღლაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი გ. ჟორჟოლიანი, ფარცხანაყანევის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ჭ. კუჭუხიძე და ათობით სხვა მექანიზატორი.

#### თეთრი წყარო

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი შ. კენკემაშვილი. გუშინ მან კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 17 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 10 ჰექტარისა, ხოლო ტრაქტორისტმა ნ. შარაბიძემ — 16 ჰექტარი.

მინდვრის სამუშაოთა ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება სოფელ კადის კოლმეურნეობაში. აქ უკვე დაამთავრეს კარტოფილის, მზესუმზირას თესვა. სიმინდი დაყალიბებული თესლით ითესება.

### თბილისი — მოსკოვი

## სადაც დაიბადა კომუნისტური შაბათობების დიადი თაოსნობა

სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები აქვს მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს კოლექტივს. სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში აქ დაიბადა კომუნისტური შაბათობების მოწყობის შესანიშნავი ინიციატივა, რომელსაც ვ. ი. ლენინმა დიადი თაოსნობა უწოდა. 1919 წლის 6 აპრილს დეპოს კომუნისტებმა მთელი ღამე იმუშავეს და 3 ორთქლმავალი შეაკეთეს. 1919 წლის 10 მაისს მოსკოვ-რიაზანის ქვანძზე მოეწყო პირველი მასობრივი კომუნისტური შაბათობა.

სახელოვან მოსკოველ რკინიგზელებს სასახელო მემკვიდრეები გამოუჩნდნენ. სკკპ XXI ყრილობისწინა დღეებში სწორედ აქ, მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოში, მიეცა დასაბამი ახალ პატრიოტულ მოძრაობას — კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესანიშნავ თაოსნობას, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში ერთერთმა პირველმა დაუჭირეს მხარი თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის გ. ჩადუნელის ზეინკალთა ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის წევრებმა.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოს, რომ შეეტყო, როგორ მუშაობს და ცხოვრობს დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივი შვიდწლედის პირველ წელს. აპარატთან მოვიდა გორგოლაჭების საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ზეინკალი ნ. ბელოვი.

— 40 წლის წინათ, 1919 წლის გაზაფხულზე ჩვენს დეპოში მოეწყო პირველი კომუნისტური შაბათობები. ამ შესანიშნავი დღეების აღსანიშნავად, — თქვა ნ. ბელოვმა, — ამჟამად ჩვენთან განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა. ჩვენი საამქროს კოლექტივი ცვლის დავალებებს 200-230 პროცენტით ასრულებს. თბომავლების სარემონტოდ დგომის დრო 3-ჯერ და უფრო მეტად შევამცირეთ.

იზრდება რაციონალიზატორთა რიგები. ახლა საამქროს თვითეულ მუშაზე საშუალოდ ერთი რაციონალიზატორული წინადადება მოდის, რომელთა დანერგვით საწარმოს ათეულ ათასობით მანეთის ეკონომია მივეცით.

აქტიურად ვმონაწილეობთ დეპოს მუშებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში.

სამუშაოსაგან თავისუფალ დროს წიგნებს ვუსხედვართ, ვიმაღლებთ კვალიფიკაციას, ვემზადებით უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლისათვის. რეგულარულად ვაწყობთ ხუთშაბათობებს „ვისწავლოთ და კიდეც დავისვენოთ".

— გორგოლაჭების საამქროს კოლექტივის სახელით, — თქვა საუბრის დასასრულს ნ. ბელოვმა — გთხოვთ გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადას გადასცეთ მოსკოველი მეგობრების გულითადი სალამი. ჩვენ გვახარებს მათი წარმატებანი შვიდწლედის დავალებათა შესრულებაში. ჩვენი მეგობრობა ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### შ. ი. ამირანაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ შალვა იასონის-ძე **ამირანაშვილს** საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. გელდიაშვილი.**

თბილისი.
13 აპრილი, 1959 წ.

# მწარე გაკვეთილებიდან დასკვნა არ გაუკეთებიათ

საგაზაფხულო ხვნა-თესვის, ჩაის პლანტაციების დამუშავების მაღალ აგროტექნიკურ ვადებში შესრულება უხვი მოსავლის საწინდარია. ეს გარემოება კარგად გაითვალისწინეს ჩხოროწყუს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა. ამიტომ ისინი კარგი ამინდის ყოველ დღეს, ყოველ საათს მაქსიმალურად იყენებენ. ორგანიზებულად მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხაბუმის კალინინის სახელობისა და ლენინის სახელობის, კირცხის სტალინის სახელობის, ლეწურწუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

ამ კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად განიხილეს საგაზაფხულო ხვნა-თესვისა და ჩაის სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი, განამტკიცეს საწარმოო ბრიგადები, შეარჩიეს სიმინდის, სოიის, ლობიოს ჯიშიანი და სალი თესლი, დროულად გადაბარეს ჩაის პლანტაციები, შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები, გაიყვანეს და გაწმინდეს სადრენაჟო არხები. ამჟამად ემზადებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის.

მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ყველგან ასე არ არის საქმე. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ გადაბარვა, სასუქების შეტანა. ბევრგან კი სასიმინდე ფართობების ხვნა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

მაგალითად, სოფელ კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ჯიქია, პარტორგანიზაციის მდივანი ქ. ჯინჯოლავა) შარშან 210 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 9 ცენტნერი სუფთა მარცვალი მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა. შარშანვე სიმინდის თესვა კოლმეურნეობამ დიდი დაგვიანებით დაამთავრა. ასევე გაჭიანურდა პირველი და მეორე თოხნა. ნათეს ფართობებზე ორგანული და მინერალური სასუქების შეტანისათვის კი თავი არავის შეუწუხებია.

შარშანდელი მწარე გაკვეთილებიდან დასკვნა არ გაუკეთებიათ. სიმინდის კულტურისადმი უპატივცემლობა წელსაც იგრძნობა. შემოწმების დღეს, 1 აპრილს, კოლმეურნეობის ახალი ტრაქტორი „დტ-54" (ტრაქტორისტი უ. ჯიქია) კოლმეურნეობის კანტორის გვერდით, ღია ცისქვეშ ეგდო. ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჯიქია სხვაგან იყო წასული. როგორც კოლმეურნეებმა განაცხადეს, ტრაქტორი 2 დღეა არ მუშაობს. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა რაიონში ყალბ ცნობებს აძლევს, შემოწმების დღისათვის თითქოს მოხნული ჰქონდათ 147 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნული აღმოჩნდა 128,4 ჰექტარი.

კოლმეურნეობის მუშა პირუტყვი საგაზაფხულო სამუშაოებზე სანახევროდაც არ არის გამოყენებული. მუშა პირუტყვის კვებაც ცუდად აქვთ მოწყობილი. ზოგიერთი პირუტყვი დასუსტებულია. ასეა, მაგალითად, მეხუთე ბრიგადაში.

კირცხის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. სანაია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ხურცილავა) შემოწმების დღეს ჩაის გადაბარვა და სასუქების შეტანა დამთავრებული არ იყო, ხოლო 160 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 80 ჰექტარი. „დტ-54" მარკის ტრაქტორი (ტრაქტორისტი შ. ჩიტაია) უმოქმედოდ იდგა. იგი 30 მარტს დაზიანებულა და 1 აპრილსაც არ იყო შეკეთებული. ამ კოლმეურნეობაში შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა მოუწესრიგებელია. მოანგარიშე ვ. სოსელიას ბრიგადირების მაგივრად თვითნებურად ჩაუწერია ხვნის, ჩაის გასხვლის და გადაბარვის ცნობები.

საგაზაფხულო სამუშაოები დაბალი ტემპით მიმდინარეობს ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის, ახუთის ჭავჭავაძის სახელობის და მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებში.

ჩხოროწყუს სარემონტო-ტექნიკური სადგური (დირექტორი შ. იზორია) უზრუნველყოფილი არ არის ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით. აქ ერთ თვეზე მეტია შესაკეთებლად დგას პირველი ჭოღის კოლმეურნეობის ტრაქტორი „დტ-54", ხოლო ამ დღეებში კოლმეურნეობამ მეორე ტრაქტორი „დტ-24" მიიყვანა შესაკეთებლად. მაგრამ შეკეთება ჭიანურდება. შემოწმების დღეს სახელოსნოში იდგა აგრეთვე ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის „დტ-28" მარკის ტრაქტორი.

სარემონტო-ტექნიკურ სადგურში აკლიათ სპეციალისტები, საკმაო რაოდენობით არა აქვთ საწვავი და სხვ. ეს ყველაფერი იციან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მაგრამ პრაქტიკული დახმარება დღემდე არა ჩანს.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ჩამორჩენის დაძლევაში.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# «პროპაგანდისტის დღე»

ეს იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში გამოცოცხლება იგრძნობოდა. აქ თავი მოეყარათ პროპაგანდისტებს, რომლებისთვისაც მოეწყო ახალი ღონისძიება — „პროპაგანდისტის" დღე თემაზე: „სოფლის მეურნეობის ზრდა-განვითარება ახალ შვიდწლედში".

იმ დღეს პროპაგანდისტებმა დაათვალიერეს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლხიდის ფილიალი, მდინარე რიონის მარეგულირებელი ნაგებობა და სოფელ პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა, გაეცნენ მათ მუშაობას, მოისმინეს სამეურნეო ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საუბრები.

ეს ღონისძიება მეტად სასარგებლო გამოდგა და მან პროპაგანდისტების ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. პროპაგანდისტთა მოთხოვნით აპრილში მოეწყო მეორე ასეთი თემატური დღე. იგი მიეძღვნა თემას: „ფოთის სამრეწველო საწარმონი ახალ შვიდწლედში". პროპაგანდისტებს პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. დარჯანიამ წაუკითხა საინტერესო ლექცია თემაზე: „კოლხიდის ზღვისპირა ქალაქი ახალ შვიდწლედში".

პროპაგანდისტებმა დაათვალიერეს მიწისმწოვი მანქანების ქარხანა, ნავსადგური, ტოლ-რუბეროიდის და ელექტრომოწყობილობის ქარხნები. იქ მათ მოისმინეს ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მოხსენებანი მიმდინარე შვიდწლედში მათი საწარმოების ზრდის პერსპექტივების შესახებ, გაეცნენ ცალკეული საამქროების მუშაობას, ესაუბრნენ წარმოების ნოვატორებს, შვიდწლედის გმირებს.

„პროპაგანდისტის დღის" ჩატარება დიდად ეხმარება პროპაგანდისტებს მეცადინეობის იდეური დონის ამაღლებაში, პარტიის XXI ყრილობის მასალების ღრმად შესწავლაში.

**ქ. კომახიძე.**

# აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია

სოხუმი. (საქინფორმი). ამ დღეებში გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა ა. მ. ჭოჭუამ.

სესიამ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი გ. ა. ძიძარია, თავმჯდომარის მოადგილეებად — ო. პ. პახომოვა და პ. ნ. ცანავა.

დეპუტატ დ. მ. ჯიქონაიას წინადადებით უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაადგინა — ცნოს ყველა 112 დეპუტატის რწმუნებანი.

შემდეგ სესიამ აირჩია ექვსი მუდმივი კომისია.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად აირჩია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ბ. ვ. შინკუბა, მდივნად — მ. მ. არგუნი.

უმაღლესმა საბჭომ შექმნა მთავრობა — აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია დეპუტატი მ. გ. ჩიქოვანი. სესიამ დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ მინისტრები.

# ...იშრიალონ ხეებმა «თბილისის ზღვასთან»

## თბილისელთა შესანიშნავი, საშვილიშვილო საქმე



ყოველი ხე, რომელსაც ადამიანი დარგავს, ერთ წვეთ სიხარულს მაინც მოუმატებს სიცოცხლეს დედამიწაზე. ბაღი — ეს ხომ პოეზიაა ჩვენს ცხოვრებაში. ბაღი სახლის დამამშვენებელია, იგი სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე იბადება შემოდგომაზე ან გაზაფხულზე: გამრჯე ადამიანები ხალისით თხრიან ორმოებს და რგავენ შიგ ხეებსა და ხეხილს. მათ სწამთ ერთი კარგი წესი: ყოველი კაცი მოვალეა თითო ხე დარგოს და გაახაროს.

ამ კარგმა წესმა გასულ კვირას მშვენივრად შეისხა ფრთები. გაზაფხულმა სახლში ვერ ჩაკეტა შრომისმოყვარე თბილისელები. ისინი მასობრივად გავიდნენ „თბილისის ზღვის" მიდამოებში, რათა ერთი კი არა, თვითეულს ათი ხე მაინც დაერგო.

ჯერ კიდევ დილის 9 საათიდან დაიძრა ხალხის უწყვეტი ნაკადი „თბილისის ზღვის" ფერდობებისაკენ. ავტომანქანები ხალხით არის გაჭედილი. მანქანებს ამშვენებს წარწერები: „ბაღნარად ვაქციოთ დედაქალაქი", „მწვანე სამოსით მოვრთოთ თბილისი". ამ დიად ლაშქრობაში ჩაებნენ დედაქალაქის ყველა რაიონის, თითქმის ყველა საწარმო-დაწესებულების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების წარმომადგენლები.

ლოტკინის მთის ფერდობები სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებით გაივსო. სულ უფრო მატულობს ახლადგაჭრილი ორმოების რიცხვი.

ისე როგორც ყოველთვის, ახლაც წინ მიდიან დედაქალაქის მსხვილი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები აქაც ღირსეულად იცავენ მშობლიური საწარმოს სახელს. ნოდარ ნიკოლაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები მარტო საამქროში როდი არიან მოწინავენი. გაზაფხულის სუფთა ჰაერზე ნაკლებად როდი ირჯება სახელოვანი შრომით დაკოჟრილი მარჯვენა. მათ ათობით ორმო ამოიღეს, მრავალი ხეხილი დარგეს.

ძველისძველი ქარხნის კოლექტივის ბევრი წარმომადგენელი თითქმის ექვსი ათეული წლის წინათ ამ მიწაზე, „მლაშე ტბების" რაიონში მონაწილეობდა გაზაფხულის დიდ ზეიმში — პირველმაისობაში. მაშინ, მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ისინი საძირკველს უყრიდნენ ახალ, ნათელ ცხოვრებას, რგავდნენ ბედნიერი მომავლის ნერგებს. დღეს ისინი ვაშლის, მსხლის თუ ალუბლის ნერგებს რგავენ, რომ მძლავრად იშრიალონ ხეებმა „თბილისის ზღვის" ნაპირზე...

სტალინის სახელობის ქარხანა ხომ ვეტერანი საწარმოა, მან უკვე სამოცდამეთექვსმეტე წელში შედგა ფეხი. და აი ამ ქარხნის კოლექტივის გვერდით ნორჩ ხეებს რგავენ თვითონაც ნორჩი საწარმოს — ქარხანა „ელექტროგამშვების" მუშა-მოსამსახურეები. ქარხნის დირექტორი ალექსანდრე ნაკაშიძეც თავის მუშებთან არის. იგი ნამუშევარს უწონებს ბეჯით ახალგაზრდას, სატვიფრო-მექანიკური საამქროს უფროს ოსტატს გივი გიორგაძეს, რომელმაც ატმის ნერგები ჩარგო.

სხვებს არც ელმავალმშენებლები ჩამორჩებიან, ვაჟკაცურად შესევიან მთის კალთებს; ზოგი ორმოებს თხრის, ზოგი ხეხილს რგავს, ზოგიც ახლადდარგულ მცენარეს მაცოცხლებელ წყალს აპკურებს.

ვაჟკაცებივით შრომობენ მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ქალები. საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მ. გოგიჩაიშვილი მარჯვენას უქებს ასობით ძირი წიწვოვანი მცენარის დამრგველებს.

ლენინის რაიონის მშრომელებმა სულ 44.000 ორმო ამოთხარეს, 17.000 ძირი მცენარე დარგეს.

სტალინის რაიონის მშრომელებმაც იბეჯითეს. მათ 43.000 ორმო ამოიღეს და 11.500 ძირი ხე დარგეს. თავი ისახელეს მაუდ-კამვოლის კომბინატის ქვეოსტატებმა ნ. ხურციამ, ა. ანდღულაძემ, საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გ. ზოდელავამ, პ. ალაშვილმა და ბევრმა სხვამ.



ერთნაირი მონდომებით შრომობდა მუშა თუ სტუდენტი, მოსამსახურე, მოსწავლე თუ მეცნიერი. ორმოების მთხრელთა და მცენარეების დამრგველთა შორის შეხვდებოდით აკადემიკოსებს ნ. კეცხოველს, რ. დვალს, ა. ბოჭორიშვილს, ს. დურმიშიძეს, პროფ. გ. ჯიბლაძეს, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებს, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნების მუშებს, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მუშაკებს, ელექტროტექნიკისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, 26 კომისრის რაიონის დასუფთავების კანტორის მოსამსახურეებს. დედაქალაქის ყველა რაიონის მშრომელს შეჰქონდა თავისი წვლილი „თბილისის ზღვის" ნაპირების გამწვანების საშვილიშვილო საქმეში.

„თბილისის ზღვის" მიდამოებს იმავე დღეს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეგეშიძე. მათ გულდასმით დაათვალიერეს „თბილისის ზღვის" ირგვლივ გასამწვანებელი ადგილები, რამდენიმე საათს დაჰყვეს იქ, დაწვრილებით გაეცნენ გამწვანების სამუშაოებისა და მორწყვის მიმდინარეობას.

დედაქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უთუოდ კარგი, სასარგებლო საქმე გააკეთეს „თბილისის ზღვის" ირგვლივ უტყეო ადგილების გასამწვანებლად მშრომელთა მასობრივი გასვლის მოწყობით. გასულ კვირას სულ დაირგო 80.400-ზე მეტი ფიჭვი, იფნი, კვიპაროსი, ჭერამი, ატამი, ნუში, მსხალი, ვაშლი და სხვა მცენარეები. სულ 226 ჰექტარზე უნდა დაირგოს 204.000 ძირი მცენარე, მათ შორის ერთი მესამედი ხეხილი.

გაივლის წლები. „თბილისის ზღვის" ნაპირებზე ტანს აიყრიან გახარებული და გალაღებული ნერგები, საამოდ აშრიალდებიან აშოლტილი ხეები. ადამიანები მხურვალედ დალოცავენ იმათ მარჯვენას, ვინც ეს ნერგები დარგო, ახარა.

**ს. არღუნელი.**

**სურათებზე:** ზემოთ — 26 კომისრის რაიონის ახალგაზრდები ხეხილს რგავენ „თბილისის ზღვის" მიდამოებში; ქვემოთ — ნაძვის ნერგის მომზადება დასარგავად.

ფოტო გ. ქანთარიასი.

# კეთილშობილური თაოსნობა

ზესტაფონი. (საკ. კორ). დიდებული პერსპექტივებია დასახული ახალ შვიდწლედში ზესტაფონელი მშრომელების წინაშე. მათ უნდა გააშენონ 1.800 ჰექტარი ახალი ვენახი და მათი საერთო ფართობი 3.100 ჰექტარამდე აიყვანონ, ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ 70 ცენტნერამდე, ხოლო სიმინდისა — 25 ცენტნერამდე, თვითეულ ძროხაზე უნდა მიიღონ 1.700 კილოგრამი რძე.

ამ საპატიო ამოცანების შესრულება საერთო-სახალხო საქმეა. ამიტომ პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს ზესტაფონის რაიონის საწარმოებში ჩაბმულმა იმ მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებსაც სოფელთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, როცა სურვილი გამოთქვეს დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფლებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობაში, პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნაში.

ამასთან დაკავშირებით აქ ჩატარდა ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე სოფლად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების შეკრება, სადაც რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გ. ხუსკივაძე. მოხსენების შემდეგ სიტყვა აიღო სამტრესტის ზესტაფონის ქარხანათმმართველობის № 1 სარდაფის მუშამ რ. ვარდუკაძემ. მან თქვა: კარგად მაქვს შეგნებული შვიდწლედის დიადი ამოცანები. სამუშაოდ ვბრუნდები მშობლიურ სოფელ კლდეეთში, რათა გვერდში ამოვუდგე ჩემს თანასოფლელებს, ვიმუშაო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ასეთივე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ მშენებლები რ. ჭიჭინაძე, ც. კაპანაძე, მუშა თ. ნიკაჭაძე და სხვები. შეკრებამ მიიღო მიმართვა, რათა მხარი დაუჭირონ ამ კეთილშობილურ თაოსნობას.

# თემატური საღამო

ახმეტა. (საკ. კორ.). ზემო ხოდაშნის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ხუთი წლის წინათ ყველა დარგში ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად მეცხოველეობაში „კოჭლობდნენ". თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ოთხას ლიტრზე მეტ რძეს ვერ წველიდნენ, ნამატის მიღება-შენარჩუნების პროცენტი სამოცდახუთს არ აღემატებოდა.

ამჟამად ზემოხოდაშნელები ყველა დარგის აღმავლობით ამაყობენ, მაგრამ იმდენი წარმატებანი, რაც მეცხოველეობაში აქვთ, არც ერთ დარგში არ გააჩნიათ. შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.596 ლიტრი რძე მიიღეს.

ახმეტის სარაიონო კულტურის სახლის დირექციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა — მოაწყო თემატური საღამო, მიძღვნილი მეცხოველეთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებისადმი.

საღამო, რომელსაც დაესწრნენ რაიონის კოლმეურნეობათა მოწინავე მეცხოველეები და სპეციალისტები, შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ახმეტის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ს. სალაძემ. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი ზოოტექნიკოსი ვლ. მუჭულაშვილი.

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ს. დათოშვილმა საღამოს მონაწილეებს მოახსენა:

— პირველ რიგში პირუტყვის ბინებზე ვიზრუნეთ. 124 სული პირუტყვისათვის ავაგეთ კულტურული ბინა, სადაც შრომატევადი სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. ძროხები სარწყულებლებით წყალს ნებისმიერად სვამენ. შემდეგ პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებაზე ვიზრუნეთ და შედეგსაც მივაღწიეთ. ახლა მთლიანად ჯიშიანი და ნაჯვარი ძროხები გვყავს. საკვები ხომ მთავარია და მთავარი. სიმინდის სათესი ფართობი ერთიორად გავადიდეთ. ამან საშუალება მოგვცა დაგვემზადებინა შარშან 2.200 ტონა სილოსი, გეგმა კი 1.300 ტონას ითვალისწინებდა.

სილოსთან ერთად ბევრი გვაქვს კონცენტრირებული საკვებიც. სიმინდი და მისი პროდუქტები საუკეთესო საკვებია, მაგრამ ცილებს ნაკლები რაოდენობით შეიცავს. ეს ხარვეზი რომ შეგვევსო, დავთესეთ სოია, რომელიც მდიდარია ცილებით. ავჭრით სოიის მწვანე მასა, ჩრდილში გავახმეთ და მისგან ფქვილი დავამზადეთ. მას ვურევთ სიმინდის როშში და ვაძლევთ ძროხებს.

მწველავმა შ. ქოქონაშვილმა მისთვის მოსავლელად მიჩენილი თორმეტი ძროხიდან თვითეულზე 1.780 ლიტრი რძე მიიღო, დავალება კი 1.300 ლიტრზე მეტი არ ჰქონდა. ქოქონაშვილმა რაიონის მეცხოველეებს თავისი მუშაობის შესახებ მოუთხრო და აღუთქვა, რომ წელს საშუალო წველადობას 2.500 ლიტრამდე გაადიდებს.

# ისინი დოვლათს შემატებენ სოფელს

გაზაფხულია. იღვიძებს ბუნება. ხეხილის ბაღებში პირველი ყვავილები გაშალეს ტყემალმა, ნუშმა, ატამმა. საგაზაფხულო სამუშაოები გარეთ იწვევს დიდსა და პატარას.

საკოლმეურნეო სოფელში ახლა გადამწყვეტი დღეებია.

ქარელის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ბუზალაძე) მოსწავლეებიც აქტიურად ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. შრომის გაკვეთილებზე პრაქტიკის მასწავლებლის შ. გონგლიაშვილის ხელმძღვანელობით ახლა ისინი მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთებაზე. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს მოსწავლეებმა ბ. სოლოღაშვილმა, ი. ქერივიშვილმა, ა. პავლაძემ, ც. თოთლაძემ, შ. გიორგიშვილმა, ს. ნოზაძემ, თ. ეკალაძემ და სხვებმა. მათ კარგად შეაკეთეს ბარები, თოხები.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ, რომელშიც 60 ბავშვია გაერთიანებული, წელს უნდა დაამუშაოს 25 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწები, მათ შორის: 5 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 3 ჰექტარი შაქრის ჭარხლის პლანტაცია, 15 ჰექტარი სიმინდი და 2 ჰექტარი კომბოსტოს ნაკვეთი. ამასთანავე მოუვლიან და გამოკვებავენ 30 გრამ აბრეშუმის ჭიას.

ამით არ დაკმაყოფილდებიან ქარელის საშუალო სკოლის მოსწავლეები. მათ დიდი გეგმები აქვთ. უწინარეს ყოვლისა მშობლიური სკოლის გამშვენიერებას ისახავენ მიზნად. მალე საკუთარ სანერგეში გამოყვანილი ყვავილებით მოქარგავენ სკოლის ეზო-მიდამოს. უკვე დარგეს ტუიის, ფიჭვის ხეები, 15 ძირი მუხა. ამ გაზაფხულზე ქარელის ცენტრალურ ქუჩაზე, მეზობელი სოფლების — ბებნისის, ხვედურეთის გზებზე გააშენებენ ჭადრებს, ხოლო თბილის-ქუთაისის გზაზე 5 კილომეტრის მანძილზე ააშრიალებენ მეგობრობის ხეივანს. ამის განხორციელება მათ უკვე დაიწყეს. რაიონული კულტურის სახლის ეზოში დარგეს 60 ძირი ალვის ხე, რითაც მშრომელთა მადლობა დაიმსახურეს.

...გაზაფხულდა და მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა უკვე შეუდგა მუშაობას. მეხილეები თავს დასტრიალებენ ხეხილს. მებოსტნეები ხელსაყრელ ამინდს ელოდებიან, რომ მთელი ძალით ჩაებან შრომაში. ნორჩმა მეაბრეშუმეებმა შეაკეთეს ოთახები, დაწნეს ახალი ლასტები.

გავა დრო, საკოლმეურნეო დოვლათს მოსწავლეთა ხელით მოყვანილი მოსავალი შეემატება. კოლმეურნეობა მათს ნაშრომს შესაფერად აანაზღაურებს. ეს თანხები კი სასკოლო ყულაბაში გადავა მშობლიური სკოლის საკეთილდღეოდ. ხოლო შემდეგ, როცა კარგად გაიწაფებიან სამეურნეო საქმეში, აუცილებლად შექმნიან სკოლა-კოლმეურნეობას. ასეთია მათი სურვილი.

**მ. ინასარიძე.**

ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა—შვიდწლედის ამოცანების დონეზე

# სამეურნეო წარმატებათა მტკიცე საფუძველი

შვიდწლიანი გეგმა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ მიიღო, უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განსახორციელებლად.

ფართო პერსპექტივებია დასახული რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის მშრომელთა წინაშე. შვიდწლედის მანძილზე ქალაქი უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება. მნიშვნელოვნად გაიზრდება მისი მრეწველობა. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა თუჯის წარმოებას გაზრდის 8,1 პროცენტით, ფოლადისას — 25,7 პროცენტით, ნაგლინისას — 28,8 პროცენტით.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის სასაქონლო პროდუქცია შვიდწლედის ბოლოსათვის 7-ჯერ და მეტად გაიზრდება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება ცემენტის წარმოება. ცემენტის ქარხანა 1965 წელს გამოუშვებს რამდენიმე ასეულ ათას ტონა პროდუქციას. ქარხანა უზრუნველყოფს „500", „600" და სხვა მარკების პროდუქციის გამოშვებას.

1960 წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია ქალაქის მარჯვენა ნაპირის მშენებლობის პირველი რიგის დამთავრება, რის შედეგადაც რუსთავის მშრომელები მიიღებენ 80 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ხოლო 1965 წლისათვის — 300 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს.

საწარმოთა კოლექტივები ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ფაბრიკა-ქარხნების ინიციატივას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების, აგრეთვე ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნის შესახებ და თავის მხრივ გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. მეტალურგებმა გადაწყვიტეს შვიდწლედის ფონდში შეიტანონ შვიდი მილიონი მანეთი.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები მხურვალე მონაწილეობას იღებენ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ლაშქრობაში, თანამიმდევრულად ეწევიან პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას, პოპულარიზაციას უწევენ მოწინავე გამოცდილებას, რაზმავენ მასებს ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

შვიდწლედის პირველი წლის სამი თვის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა საწარმო გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც პარტიის XXI ყრილობის დელეგატი ა. ძამაშვილი და კომკავშირელი რ. ჭიჭინაძე ხელმძღვანელობენ, ახალ წარმატებებს აღწევენ. ისინი სისტემატურად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, სრულყოფენ ტექნიკას, წარმოებაში ნერგავენ სიახლეს.

საწარმოთა კოლექტივების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა პარტიის საქალაქო კომიტეტისაგან, პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ სამეურნეო წარმატებები, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სრულად დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ მოწყობაზე. უამისოდ სამეურნეო წარმატებები შესაძლებელია ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, რომელიც თავის ყოველდღიურ მუშაობაში ხელმძღვანელობს პარტიის ამ მითითებებით, იბრძვის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებისათვის, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისა და კომუნისტების იდეური წრთობისათვის, მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებისათვის.

მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა წელს ახალი გაზრდილი ვალდებულებანი იკისრა. ეს ვალდებულებები ითვალისწინებენ წარმოებაში ახალი ტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვას. მეტალურგებმა გადაწყვიტეს ყველა ღუმელზე დადგან ქრომომაგნიტური კამერები, რომლებიც გააძლიერებენ ბრძმედის საკერძეების ქვეშ გაზის მიწოდებას. წინასწარი ვარაუდით ამ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდება ერთსა და იმავე საწარმოო მოედნებზე პროდუქციის გამოშვება. შემცირდება მისი თვითღირებულება, შემსუბუქდება ადამიანთა ფიზიკური შრომა, დაიზოგება დიდძალი ლითონი, ელექტროენერგია და სხვ.

გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საქალაქო კომიტეტი მტკიცე კონტროლს აწესებენ იმაზე, თუ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი. ამას წინათ პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით მეტალურგიულ და აზოტოვანი სასუქების ქარხნებში ჩატარდა ტექნიკური კონფერენციები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს დამატებითი რეზერვების გამონახვასა და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით ჩატარებული ღონისძიებები — დანადგარებისა და აგრეგატების გამოყენების შემოწმება და რაციონალიზატორული წინადადებების შეგროვების ერთთვიურის მოწყობა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში სიახლეთა შეტანისა და მასებში ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების შედეგია, რომ წელს მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქრო გადაჭარბებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების დავალებას.

როცა პარტიულ ორგანიზაციას სწორად აქვს აგებული ორგანიზატორული მუშაობა და სრულ პასუხისმგებლობას გრძნობს ამ მხრივ, შეუძლია აქტიურად დარაზმოს მთელი კოლექტივი, აღუძრას ადამიანებს ახლის გრძნობა, განაზოგადოს მოწინავეთა გამოცდილება, დასახოს პერსპექტივები. მაგალითად, იმისათვის, რომ გადიდდეს მინერალური სასუქების წარმოება აზოტოვანი სასუქების ქარხანაში, წამოიჭრა საკითხი ახალი რეზერვების გამოვლინების შესახებ, რომელთა ამოქმედება საჭირო იყო ახალი პროდუქციის სწრაფად გამოსაშვებად. პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი გ. მონცელიძე), დეტალურად შეისწავლა რა საქმის მთელი ვითარება, ჩაატარა ტექნიკური, ხოლო შემდეგ ეკონომიური კონფერენციები. მათ მომზადებაში მონაწილეობდა 50-მდე კაცი. დასახმარებლად მოწვეულ იქნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ელექტროტექნიკის განყოფილების თანამშრომლები. საამქროებში გაიმართა კრებები. მოეწყო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კონკურსი, გამოშვებულ იქნა ტექნიკური ბიულეტენები. ასეთი კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობის შედეგად პარტიულმა ორგანიზაციამ სასურველ შედეგებს მიაღწია.

პარტიის XXI ყრილობის შემდეგ მეტალურგიული, ცემენტისა და სხვა ქარხნების პარტიულ ორგანიზაციებში მკვეთრად გაუმჯობესდა ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი. ამასთან თუ წინათ პარტიული კონტროლი განისაზღვრებოდა კრებებზე მხოლოდ სამეურნეო ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენით, ახლა უფრო შინაარსიანად და მრავალმხრივად ეწყობა იგი. პარტიული კომიტეტის სხდომებზე, საამქროთა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ფართოდ განიხილავენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, ნოვატორთა გამოცდილების განზოგადების, წარმოებაში ოსტატების როლის ამაღლების და სხვა საკითხებს. მაგალითად, მეტალურგიული ქარხნის მარტენის, მილსაგლინავი, ფასონურ-სამსხმელო და სხვა საამქროების პარტიულ კრებებზე უკანასკნელ ხანებში მოსმენილ იქნა წარმოების ეკონომიის, ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლების, ნომენკლატურების მიხედვით გეგმების შესრულების და სხვა საკითხები. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე, ხელს უწყობს გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

შარშან მარტენის საამქრო ცუდად მუშაობდა, რის გამო მან სახელმწიფო გეგმის შესრულებას დიდძალი რაოდენობით დააკლო ფოლადი. ცუდი მუშაობის მიზეზი ის იყო, რომ საამქროში დაბალი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე. საჭირო გახდა საქალაქო კომიტეტის საქმეში ჩარევა. შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებსაც დაევალათ პარტიული და სამეურნეო საქმიანობის საკითხების შესწავლა. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, აგრეთვე საქარხნო კომიტეტმა ანალიზი გაუკეთეს მარტენის საამქროს მუშაობას და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგად საამქროში მდგომარეობა გამოსწორდა და იგი ახლა ერთ-ერთი მოწინავეა მთელ ქარხანაში.

პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის, აგრეთვე ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის ორგანიზებულია მუდმივმოქმედი სემინარი, რაც დიდ დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები უფრო კვალიფიციურად ხელმძღვანელობენ კომუნისტებს, უზრუნველყოფენ კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდას წარმოებაში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამით აღფრთოვანებული რუსთავის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ შვიდწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახული ამოცანები.

**შ. თითბერიძე,**
საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომუნიზმის ხილული და ხელშესახები ნიშნები სოციალისტურ სოფელში

> კომუნიზმში შესვლა განსაზღვრული არ არის რაღაც კალენდარული თარილით. არ იქნება ისეთი მომენტი, როცა ჩვენ მივხურავთ ერთ კარს და გამოვაცხადებთ: „სოციალიზმის მშენებლობა დამთავრებულია", — ხოლო შემდეგ გავაღებთ მეორეს და ვიტყვით: „ჩვენ მივედით კომუნიზმში". სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ხორციელდება განუწყვეტლივ. ჩვენ უკვე ახლა ვაღებთ კარს კომუნისტურ საზოგადოებაში შესასვლელად, ახლა საქმე ეხება კომუნიზმის მშენებლობას. ჩვენი ქვეყანა ამჟამად შევიდა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში, როცა იქმნება კომუნიზმის მთელი მატერიალური და სულიერი პირობები.
>
> ნ. ს. ხრუშჩოვი.

* * *

— ცხრაას ორში იყო ეს თუ ცხრაას სამში, კარგად არ მახსოვს. დედა გამიხდა ავად. ცუდად იყო ძალიან, და მეტი რა გზა მქონდა, ექიმი უნდა მომეყვანა. ვისესხე ფული და ჩავედი ლანჩხუთში. ძლივს დავითანხმე ერთი ექიმი, აბა მიქელ-გაბრიელში წამოსასვლელად ასე ადვილად ვის დაიყოლიებდი! როგორც იქნა, მივაღწიეთ ავადმყოფთან. გასინჯა ექიმმა დედაჩემი და რეცეპტის დაწერა დააპირა. ქაღალდისა და ფანქრის წამოღება კი დავიწყებოდა იმ დალოცვილს. გამოვვარდი კარში, მოვირბინე მთელი სოფელი და ერთი ნახევრად შეჭმული ფანქარი ვიშოვნე, ქაღალდი კი ვერა. რა უნდა გვექნა! მერე ისევ ექიმმა იპოვნა გამოსავალი. — კარზე დავწერ რეცეპტს, იშოვნეთ ქაღალდი და გადაიხატეთო. ესეც გააკეთა, დაკაწრა კარი და წავიდა. მეორე დღეს ისევ შემოვირბინე სოფელი, მაგრამ რა... არა, და ხელიდან გვეცლება დედა. გავმწარდი, და გამწარებული კაცი, მოგეხსენებათ, ხშირად უბრალო რამესაც კარგად ვერ მოისაზრებს. არც ვაცივე, არც ვაცხელე, შევხსენი ის რეცეპტიანი კარი, ზურგზე მოვიკიდე და ძუნძულით გავწიე სუფსისაკენ, სადაც ერთი პატარა აფთიაქი მეგულებოდა. გამოჩნდა სუფსის აფთიაქიც, ავირბინე ხის კიბე და ახლა კარებში გავიჩხირე. დამინახა აფთიაქარმა, შეშლილი ვეგონე. — სა მოძვრები, შე აბდალოო! — დამიძახა. მივუშვირე ზურგი და შევეხვეწე: — შენი ჭირიმე, აგერ ამ კარებზე რომაა რეცეპტი, ერთი ეს წამალი მომეცი, შენი მლოცველი ვიქნები. გაეცინა აფთიაქარს, გულიანად გაეცინა...

ჩვენც გაგვეცინა ყველას, როცა მიხაკო ხომერიკმა ამ კლდიაშვილისებური სევდანარევი იუმორისტული ამბის, ნამდვილი ამბის თხრობა დაამთავრა. ასე გაცოცხლდა ერთი წამით ძველი მიქელ-გაბრიელი. გლეხიკაცის ისტორიის სქელტანიან ტომს შეცვლის ეს პატარა მაგრამ უაღრესად ტიპიური სურათი, რომლის სახელია წარსული. აღარ არის ახლა ამ წარსულის კვალი, აღარ არის მიქელ-გაბრიელიც. ქართველ გლეხს ვერ უშველა ორმა მთავარანგელოზმა. იგი იხსნა განთავისუფლებულმა შრომამ. და სწორედ ამიტომ ამაყად ატარებს დღეს სოფელი ამ ლაღად მჟღერ სახელს.

## შვიდწლედის განთიადი შრომაში

ვდგავარ მთაზე... და სიჩუმის
იდუმალი მესმის ენა
და მიტაცებს სწრაფი ფრთებით
პოეტური აღმაფრენა.
ვხედავ სერებს ვხედავ დაფნარს,
ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,
ვხედავ სოფლებს სიცოცხლისა,
განახლების თვალით მშვირალს.

გაგონდება უნებლიედ ეს სტროფი გალაკტიონის „გურიის მთებიდან", როცა მაღლობიდან გასცქერი კეკლუც სოფელს, თავმომწონედ რომ იფერებს გაზაფხულის მრავალფეროვან სამოსელს.

სულ სამიოდე დღეა, რაც გამოიდარა შრომაში, და თითქოს არც კი ყოფილა აქ თოვლი, წვიმები, უმინდობა. ლამაზი და შინაარსიანია გარიჟრაჟი შრომაში, დილის პეიზაჟი კი რთული და მრავალმეტყველი.

ალიონზე მამლის ყივილს რომ ფარავს, ეს მიხეილ ორაგველიძის „ვოლგის" მკვეთრი სიგნალია. გამგეობის შენობისაკენ, რომელიც ლენინგრადის ერთ-ერთ სვეტებიან სასახლეს მოგაგონებს, მიისწრაფვის შრომელთა მრავალნაცადი თავმჯდომარე. თვითეული სამეურნეო დღის ბედი დილის ექვს საათიდან დილის რვა საათამდე წყდება. ეს ჭეშმარიტება ათეული დაძაბული წლების გამოცდილების ნაყოფია. სამხედრო ბრძანებასავით მოკლე, გასაგები და უცილობელია ხელმძღვანელის თვითეული დავალება, ხოლო შემდეგ სოფლის ტემშარაზე კვლავ აყენებს მტვერს ფოლადისფერი „ვოლგა"; თავმჯდომარე ჩაის პლანტაციებისაკენ იჩქარის.

სოფელში დამთავრდა ჩაის პლანტაციების გახვლა, მსუბუქი შებარვა. დამზადებულია ლაო ჩაი და კოფეინი. მთავარი კი ჯერ წინ არის, მიტომ, როგორც აქ იტყვიან ხოლმე, ზანზარებს მთელი სოფელი. წარმოებს ჩაის ფუმიგაცია, ციტრუსების შეწამვლა და აზოტოვანი სასუქების შეტანა. იწყება ერთწლიანი კულტურების თესვა. ყველა ეს სამუშაო თითქოს ჩვეულებრივია შრომელებისათვის და მაინც სულ სხვაა შვიდწლედის ეს პირველი გაზაფხული, დიდი მიზნების დასაბამად რომ მიიჩნია ჩვენმა ხალხმა. აბა ჰკითხეთ სახელგანთქმულ ტატიანა ჩხაიძეს, რვა ტონა ჩაის რომ კრეფს ნახევარ ჰექტარზე, ან მის თანასოფლელებს, ჩაის სარეკორდო მოსავლის ოსტატებს გუგული ქადეიშვილს, მარიამ თარხნიშვილს, იზოლდა კუბუსიძეს, ციალა კიზირიას, მოწინავე მეცხოველეებს თენგიზ დობორჯგინიძეს, თენგიზ ბოლქვაძეს და ისინი გიპასუხებენ, რომ სხვა შინაარსია ჩაქსოვილი დღეს მათს ყოველდღიურ შრომაში. დიდი და საპატიო მოვალეობა იყო შვიდწლედის გრანდიოზული გეგმების ხორცშესხმის უშუალო მონაწილე და მებრძოლი.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომასაც აქვს თავისი შვიდწლედი და იგი ხუთ წელიწადში იქნება შესრულებული. ამბობენ, და ძალიან ხშირადაც, რომ არის ციფრები, რომლებიც არა თუ ლაპარაკობენ, არამედ მღერიან კიდეც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შრომის გამარჯვების ამსახველი ციფრები ამღერებს მშრომელი კაცის გულსა და სულს აი ასეთ ციფრებზე დირს ლაპარაკი.

პარტიამ და მთავრობამ ქართველ მეჩაიეებს დიდი, რთული და პასუხსაგები ამოცანა დააკისრეს — მთლიანად და სავსებით დააკმაყოფილონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაის მწვანე ფოთოლზე. მოვიპატიჟოთ ჩაიზე მაგიდასთან დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მშრომელები.

ამ ამოცანის გადაჭრაში თავის წონიან სიტყვას შრომელებიც ამბობენ. 5 წლის მანძილზე მათ უნდა მოკრიფონ 7.722.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ადვილი საქმე როდია. თუ საბოლოოდ არ მოსპე ჩაის ბუჩქის სიმეჩხრე, არ გააშენე ახალი პლანტაცია, არ უზრუნველყავი იგი მორწყვითა და სასუქის შეტანით, წარმატებაზე ნურც იოცნებებ. ეს კარგად იციან შრომაში, და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს გაუკეთდეს 200.000 ძირ ჩაის ბუჩქს საფუძვლიანი რემონტი, დაეთმოს ახალ პლანტაციებს დიდი ფართობი, ცალკე გამოიყოს მაღალმოსავლიანი ნაკვეთები.

ჩაი მადლიანი და მადლიერი კულტურაა, მას შრომელები ვერ დაემდურებიან. შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მარტო მეჩაიეობიდან სოლიდური თანხა — 8,5 მილიონი მანეთი შეადგინა. მაგრამ ეს ციფრი დღეს კოლმეურნეებს ეცოტავებათ. ხუთწლედის მანძილზე კოლმეურნეობა ამ დარგიდან სავარაუდოდ 59,3 მილიონ მანეთს შემოსავალს მიიღებს.

მძლავრი ნაბიჯით მიდის წინ მეციტრუსეობაც. ხუთწლედის უკანასკნელ წელს შრომელები



— უნდა შევაყვარო ჩემ შვილიშვილს სოფელი — ხშირად ამბობს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ორაგველიძე, — თორემ უმეტესად ქალაქშია და მეშინია მშობლიურ სოფელს არ მოწყდეს. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. პატარა მიხაკოს ყველაფერი მოსწონს აქ, ჩაის მწვანე ბუჩქები, ოქროს ნარინჯ-თურინჯი, ათასგვარი ფრინველი და მოუსვენარი, მაგრამ მუდამ მოფუსფუსე ფუტკრები.

* * *

მოკრეფენ 19.150.000 ცალ მანდარინს, 1.600.000 ცალ ლიმონსა და 2.250.000 ცალ ფორთოხალს. დიდი ყურადღება მიექცევა ახალქართული ლიმონის გაშენებას სპეციალურად შერჩეულ ნაკვეთებზე, რომელთა ფართობი 27 ჰექტარს შეადგენს. ფულადი შემოსავალი ციტრუსებისაგან ხუთი წლის მანძილზე 15 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მოძმე უკრაინელი ხალხის უანგარო დახმარებით შრომაში დიდად განვითარდა მეცხოველეობა და მეფრინველეობა, რომელთა ხვედრითი წონა თანდათან მატულობს შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ეკონომიკაში და ეს დარგი სულ უფრო შემოსავლიანი ხდება.

შრომაში მშენებლობის მასშტაბებმა ადამიანი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს — ერთ კოლმეურნეობაზეა ლაპარაკი, თუ მთელ რაიონზე? დიდი საზაფხულო კინოთეატრის, საავადმყოფოს, ახალი საწყობებისა და წყალსადენის მშენებლობა, ახლადდასახლებულ კოლმეურნეთათვის საცხოვრებელი ბინების აგება, ყველა ბრიგადაში საბავშვო ბაგების მოწყობა, პლანტაციებში საველე სასადილოების გახსნა და ასე შემდეგ. და, რაც მთავარია, სულ უფრო მტკიცდება და სრულფასოვანი ხდება კოლმეურნის შრომადღე.

## პირველი ყლორტები

შრომელებს დიდი კლუბი აქვთ. ნუ ეწყინება მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივს, და ამ თეატრის შენობას არაფრით ჩამოუვარდება. კინო უყვართ კოლმეურნეებს, მაგრამ წინათ არასოდეს არ გავსებულა დიდი დარბაზი. ახლა კი... კინომექანიკოს იური ქარჩავას ზოგჯერ დამატებითი სეანსების მოწყობაც უხდება. რაშია საქმე? ადვილი ასახსნელია ეს გარემოება, თუ სეანსის დაწყებამდე კლუბთან მიხვალთ. აქ საბილეთო სალაროს ვერ ნახავთ, შესასვლელთანაც ვერავის შეამჩნევთ. ხალხი პირდაპირ შედის დარბაზში, ირჩევს ადგილს, ჯდება და ელოდება როდის ჩაქრება სინათლე. კინომომსახურება შრომაში უფასოა.

როგორ თუ უფასო? ნუთუ... მაგრამ ვიდრე ამაზე პასუხს გავცემდეთ, შევიაროთ სოფლის ელექტროწისქვილებში, გავესაუბროთ მეწისქვილეებს გიორგი ქვილორიას და ალექსანდრე კეჭაყმაძეს. მათ შეუძლიათ მოგვითხრონ დღემდე არგაგონილი საინტერესო ამბავი, თუ როგორ უსასყიდლოდ და უმინდოდ უფქვავენ აქ გლეხებს პურსა და სიმინდს. შეუტყვიათ ეს თურმე მეზობელ სოფლებში კოლმეურნეებს, აქ ხანდახან მოაქვთ საფქვავი, და გულუხვი მასპინძლებიც ძმურად, უსასყიდლოდ ემსახურებიან სტუმრებს.

ელექტროენერგიას საკმაოდ ბევრს ხარჯავენ შრომელები. იშვიათია აქ ისეთი სახლი, სადაც არ იყოს ელექტრომაცივარი, რადიომიმღები, რადიოლა, მტვერსასრუტები, ელექტროღუმელები (სოფელი თითქმის მთლიანად ელექტროფიცირებულია), მაგრამ, ჭარმაგი კოლმეურნის ეპიფანე მჟავანაძის თქმისა არ იყოს, ახლა, როცა ყველა ოჯახს ელექტროენერგია უფასოდ ეძლევა, თითქოს უფრო მკაფიოდ, უფრო სხივმოსილად ელვარებენ ილიჩის ნათურები.

თებერვალში კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება, რომელსაც შრომელებმა სრული უფლებით უწოდეს „კომუნიზმის ხელშესახები და ხილული ნიშნები ჩვენს სოფელში". ამ დადგენილებით კოლმეურნეები უფასოდ სარგებლობენ აგრეთვე აბანოთი. წელს შავი ზღვის სანაპიროზე აიგება დიდი დასასვენებელი სახლი, სადაც უფასოდ დაისვენებენ და იმკურნალებენ შრომელი კოლმეურნეები. კოლმეურნეობას განზრახული აქვს ახლო მომავალში შეღავათიანი ფასები დააწესოს საველე სასადილოებში.

ასე იფეთქა სოფელ შრომაში დიდი მომავლის პირველმა ყლორტებმა. ასეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე ეკონომიურ ნიადაგზე, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შედეგად, იმის წყალობით, რომ კოლმეურნეობის შემოსავლის მკვეთრმა ზრდამ, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელმა ამაღლებამ განაპირობა ამ ზომების რეალობა.

თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავდა: „სოციალისტური სტადიისაგან კომუნიზმის მთელი განსხვავების მიუხედავად მათ შორის არ არის რაიმე კედელი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდეს საზოგადოებრივი განვითარების ამ ფაზებს. კომუნიზმი იზრდება სოციალიზმიდან, მისი პირდაპირი განგრძობაა. არასწორი, მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ კომუნიზმი უეცრად გაჩნდება. უკვე ახლა სულ უფრო ვითარდება შრომის, წარმოების ორგანიზაციის კომუნისტური ფორმები და მოქალაქეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ისეთი საზოგადოებრივი ფორმები, როგორიც არის საზოგადოებრივი კვება, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო ბაღები და ბაგები. ჩვენს საზოგადოებაში ბევრია კომუნიზმის ხელშესახები და ხილული ნიშნები, რომლებიც განვითარდება და გაუმჯობესდება".

მაინც რას აძლევს კონკრეტულად თვითეული კოლმეურნის ოჯახს და მთლიანად სოფელს შრომელთა ამ შესანიშნავი კომუნისტური ინიციატივის განხორციელება?

ყველაზე თავშეკავებული და მინიმალური გაანგარიშებით — 500-600 მანეთ ეკონომიას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლიურად შრომის 600-ზე მეტი კოლმეურნის ოჯახი 4 მილიონ მანეთზე მეტს დაზოგავს.

## მოვიდა, ჩემო ყარამან, კარი შემოაღო!

სოფელ შრომაში კარგად იცნობენ ორ ყარამანს — ყარამან ქადეიშვილსა და ყარამან ჩხაიძეს. წლოვანებისა და სახელის გარდა სხვაც ბევრი აქვთ საერთო ღრმად მოხუცებულებს. ორივე გურიაში გლეხთა გამოსვლების მონაწილეა, ნაბრძოლი და ცარიზმის ჯალათების ხელით ნატანჯი. ყარამან ჩხაიძე 1902 წელს ბათუმში დემონსტრანტების რიგებში იყო. ეამაყება მოხუცს, რომ იმ მრისხანე დღეებში, როცა გამხეცებული მეფის მთავრობა ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა მუშათა მოძრაობის ჩახშობას, იგი წარმშუხრელ კობას გვერდით ვაჟკაცურად მიაბიჯებდა.

ჩვენს დროში დაფასდა მათი ბრძოლა, მათი ამაგი სამშობლოს წინაშე, გმირული შრომა იმისათვის, რომ მშობლიურ სოფელს სახე ეცვალა. ტკბილი და უზრუნველია მათი მოხუცებულობა, მაგრამ სახლში რა გააჩერებს ქართველ შრომის მოყვარე გლეხს?

მოხუცისათვის მოგონება ისევე ავსებს სიცოცხლის დღეებს და ისევე ძვირფასია, როგორც მოზარდისათვის მომავლზე ფიქრი და ოცნება. ხშირად ჩვენი მოხუცები, ორი ყარამანი ხვდება ერთმანეთს. იგონებენ წარსულს, მშობლიური სოფლის უღიმღამო გუშინდელს, უხარიათ სამშობლოს ძლევამოსილი წინსვლა. მერე ახალ ამბებს რომ გადასწვდებიან! მაგრამ ნუ შევუშლით მათ ხელს და მოვუსმინოთ, რაზე ბჭობენ მოხუცები ამ თბილ შესანიშნავ აპრილის დღეს.

— თუ გახსოვს, ჩემო ყარამან, ე მაგ სერს ქვემოთ ადგილი რომაა, რას ვეძახდით უწინ?

— როგორ არ მახსოვს, ყარამან ჩემო, როგორ არ მახსოვს. ნაოდვარს ვეძახდით. მაშინ ხომ ჩვენს გამოყრუებულ მიქელ-გაბრიელში ერთი ოდა იყო, ისიც კნიაზ ნაკაშიძეს ეკუთვნოდა, დანარჩენი სულ ფაცხები და მიწურები იყო. მერე ქე გადაწვეს შენი კნიაზის ოდა და დარჩა იქ მიშველი ადგილი. იქიდან მოდის ეს სახელიც — ნაოდვარი.

— დიდი ვერაგი კაცი იყო ეგ ჩვენი კნიაზი. რა ავკაცობა, რა ბოროტება არ იბუდებდა მის შავ გულში. კბილები ქე ქონდა თეთრი. თუ გახსოვს, ხის ეკლესია გადააბუგვინა თავის დამქაშებს, მერე კი რევოლუციონერებს გადააბრალა, მაგენმა გააკეთეს ეს შავი საქმეო. რამდენი კარგი ბიჭი გააციმბირა იმ შეჩვენებულმა.

— მაგას თავი დავანებოთ, — ამჯერად ამთავრებს წარსულის მიმოხილვას ყარამან ქადეიშვილი, — შენ ის მითხარი, რავა მოგწონს, ჩვენმა მიხაკომ (ასე უბრალოდ, ნათესაურად ეძახის სოფელი თავის თავმჯდომარეს, ხალხის რჩეულს — დეპუტატს მიხეილ ორაგველიძეს) და სხვებმა რომ მოიფიქრეს უფასო კინო, წისქვილი, შუქი, აბანო?

ყარამან ჩხაიძე დინჯი, დაკვირვებული მოხუცია, იცის თავისი მეგობრის კვიმატი ენის ამბავი, რამე რომ არ თქვას ისე, როგორც საჭიროა, თქვენს მტერს! ამიტომ არ ჩქარობს პასუხის გაცემას.

— გახსოვს, ყარამან, ერთხელ რომ გადავუდექით ბათუმში მთავრობას? რას ვთხოულობდით მაშინ? სინათლე გვინდა-თქვა, აბანო, კულტურა. ფულს გადავიხდით, ოღონდ მოგვეცით-თქვა. ამისათვის ვიბრძოდით. ახლა კინოშიც წავალ, აბანოშიც, ოდას გავაჩირაღდნებ, საფქვავს მივატანინებ წისქვილზე. კაპიკი არ დამიჯდება. ჯერ ვიფიქრე, ნაადრევი ხომ არაა აი ამბავი, ხომ არ ავჩქარდით-თქვა, მაგრამ არა, ღონიერია ჩვენი სოფელი, მეტიც შეუძლია.



ლუიზა მამფორია შინაარსიანად, ღირსეულად ხვდება შვიდწლედის პირველ გაზაფხულს. სწავლა და შრომა — აი მისი ყველაზე საყვარელი ორი დობილი. ლუიზას სწრაფი თითები ხან სახელმძღვანელოს ფურცლავენ, ხანაც ჩაის მწვანე ბუჩქზე სრიალებენ თეთრი პეპლებივით. ლუიზამ იცის, რომ იგი შვიდწლედის სიჭაბუკის მრავალმილიონიანი არმიის ერთი პატარა მებრძოლია და ეს ეამაყება მშრომელ გოგონას.

— ამიტომაც არ უშვებ წვერს, გეიგე ალბათ, რომ უფასოდ იქნება მალე პარსვა-კრეჭა, — უშოვნა დრო ყარამან ქადეიშვილმა.

— მეტს, კიდევ მეტს შეძლებს ჩვენი სოფელი, — არ შეიმჩნია ნასროლი ჩხაიძემ, — თუ ვივარგეთ, მაშინ უყურე, შვიდ წელიწადში რა ამბები დატრიალდება აქ.

—ამბობენ, აეროპლანების ყიდვას აპირებს არტელისათვის ჩვენი მიხაკო, — კვლავ ცდის მეგობარს ქადეიშვილი.

— თანამგზავრების ეპოქაში ვცხოვრობთ, და რატომ გიკვირს, ჩვენს არტელში თვითმფრინავმა თუ დაიწყო სრიალი, გაიგე, კაცო, მოდის კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამშობლოში, ჩვენს სოფელში. მოვიდა ჩემო ყარამან, კარი შემოაღო!



— ამბობენ აეროპლანების ყიდვას აპირებს არტელისათვის ჩვენი მიხაკო.
— თანამგზავრების ეპოქაში ვცხოვრობთ, და რატომ გიკვირს, ჩვენს არტელში თვითმფრინავმა თუ დაიწყო სრიალი.

* * *

მოვიდა, კარი შემოაღო!

მართალი ხარ, კარგო მოხუცო, ყარამან ჩხაიძევ! შორს აღარ არის ის დღე, როცა ახდება პირველად ჩვენს დიად სამშობლოში კაცობრიობის ყველაზე სანუკვარი და მგზნებარე ოცნება. ასრულდება ის, რისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი მამები და უფროსი ძმები, რისთვისაც ვიბრძვით ახლა ჩვენ. ამაოდ არ დაღვრილა მშრომელთა ბედნიერებისათვის დაცემულ გმირთა სისხლი.

გმირი საბჭოთა ხალხი, რომელსაც მიუძღვის ერთადერთი ნაცადი და ბრძენი ბელადი — დიდი ლენინის პარტია, შეიარაღებული XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, განუხრელად მიდის წინ, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, და არ არის ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს ეს ძლევამოსილი წინსვლა.

დ. სტურუა.

სოფ. შრომა.
1959 წ. აპრილი.



აი, ისიც, განახლებული შრომის პეიზაჟი! მარცხნივ თქვენ ხედავთ სოფლის საშუალო სკოლისა და კლუბის შენობას, რომლის ძვირფასად მოხატული დარბაზი ხუთასიოდე მაყურებელს იტევს. ოდნავ მოშორებით მზეზე ბრწყინავს სოფელ შრომის სასახლე, სადაც მოთავსებულია სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა, მახარაძელების და გენიჩესკელების ტრადიციული მეგობრობის მუზეუმი, სამკითხველო და სხვა ოთახები.

ფოტო ა. აბულაძისა.

## ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

11 აპრილს „ტუ-104“ თვითმფრინავებით მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის დასი 115 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობს თეატრის დირექტორი გ. ა. ორვიდი.

11 აპრილს გამგზავრებულთა შორის არიან მ. პლისეცკაია, რ. სტრუჩკოვა, ნ. ტიმოფეევა, მ. კონდრატიევა, ი. ჟდანოვი, ვ. ლევაშოვი, ნ. ფადეეჩევი, გ. ლედიახი და სხვები.

დიდი თეატრის ბალეტის გასტროლები მოეწყობა ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელოსში, სან-ფრანცისკოში, ჩიკაგოში. დასი გამოვა აგრეთვე კანადის ქალაქებში მონრეალსა და ტორონტოში.

პირველი წარმოდგენა გაიმართება 16 აპრილს ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“. (საკდესი).

**ნიუ-იორკი**, 12 აპრილი. (საკდესი). დღეს ნიუ-იორკში ორი თვითმფრინავით ჩამოვიდა სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის დასი 115 კაცის შემადგენლობით. დასს მეთაურობს თეატრის დირექტორი გ. ა. ორვიდი. ორი თვის განმავლობაში დიდი თეატრის მსახიობები გასტროლებს გამართავენ ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელოსში, სან-ფრანცისკოში, ჩიკაგოში, აგრეთვე კანადის ქალაქებში — მონრეალსა და ტორონტოში.

**ნიუ-იორკი**, 12 აპრილი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს დიდი თეატრის საბალეტო დასის მომავალი გამოსვლებისადმი.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამ უკანასკნელ დღეებში „ათასობით ადამიანი საათობით იდგა რიგში“ ბილეთებისათვის, თუმცა საბჭოთა ბალეტის გასტროლები 16 აპრილს იწყება.

ამერიკელი იმპრესარიოს იუროკის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ 32 დასახული სპექტაკლის 165 ათას ბილეთზე უკვე მიღებულია 900 ათასი განაცხადი.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

**პარიზი**, 11 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ საფრანგეთის კომპარტიის XV ყრილობა გაიმართება 24-28 ივნისს და არა მაისის დამლევს, როგორც ეს თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. როგორც დღეს გაზეთ „ლუმანიტეში“ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო აღნიშნავს, ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გულმოდგინე პოლიტიკური მომზადება ყრილობისათვის, კერძოდ, თეზისების ფართოდ განხილვის გზით თვით პარტიასა და მასებში.

## ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**ბაღდადი**, 12 აპრილი (საკდესი). გუშინ ოფიცერთა სახლში ერაყის არმიის ოფიცრების, სერჟანტებისა და რიგითი ჯარისკაცების წინაშე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი აბდელ ქერიმ კასემი, რომელმაც ილაპარაკა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე. ერაყის არმიას, თქვა მან, ამჟამად თავის განკარგულებაში აქვს ყველა საჭირო გვარეობის იარაღი. იგი მზად არის „პასუხი გასცეს ყოველგვარ მტრულ ძალას, რომელიც გაბედავს თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას“.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზრდა ერაყის რესპუბლიკა შრომობს თავისი ძალების განმტკიცებისათვის არა აგრესიული მიზნებით, არამედ ერაყელი ხალხისა და რესპუბლიკის თავდაცვის მიზნებით.

## ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტმა ერაყის რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციას გაუგზავნა შემდეგი წერილი:

ძვირფასო ძმებო!

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტი გულითად სალამს გითვლით თქვენ და მთელ მოძმე ერაყელ ხალხს და გულწრფელად გისურვებთ წარმატებას კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობისა და ხალხთა შორის სოლიდარობისათვის.

ერაყელმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა აზიისა და აფრიკის ყველა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სიყვარული და პატივისცემა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდი სიყვარულით და სიმპათიით ვადევნებთ თვალყურს თქვენს მეცადინეობას გახადოთ სამშობლო ბედნიერი და აყვავებული. ბრძოლა მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური პროვოკაციების წინააღმდეგ, ხალხთა დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის მუდამ შეადგენდა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს. საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ, რომ არავის არა აქვს უფლება თავს მოახვიოს ხალხებს სხვისი ნება, ჩაერიოს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

საბჭოთა ადამიანების გული იმათ მხარეზეა, ვინც მამაცურ ბრძოლას ეწევა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის, ხალხთა შორის სოლიდარობისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის მოძრაობა და მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა უძლეველია იმიტომ, რომ ეს მოძრაობანი, აერთიანებენ რა ხალხებს, გამოხატავენ მათ მხურვალე მისწრაფებას ხალხთა ძმობისადმი, მეგობრობისა და მშვიდობისადმი.

ნება გვიბოძეთ გამოვთქვათ რწმენა, რომ ახალგაზრდა ერაყის რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია თვალსაჩინო როლს შეასრულებს აზიისა და აფრიკის ხალხთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობის განმტკიცებაში.

გაუმარჯოს აზიისა და აფრიკის ხალხთა ძმურ სოლიდარობას!

დაე ცოცხლობდეს ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის ხალხთა შორის!

**ᲐᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ**

# ყოველი მხრიდან

## ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ

**პეკინი**, 11 აპრილი, (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს: დღეს დედაქალაქის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს გაზეთ „პრავდის“ რედაქციის კითხვებზე. „ჟენმინ ჟიბაო“ ამ მასალას აძლევს შემდეგ სათაურს: „ყველა მიესალმება დათბობას საერთაშორისო ატმოსფეროში, ხოლო ეიზენჰაუერი, პირიქით, ცდილობს გააუარესოს იგი.“ გაზეთი გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის საშინაო პოლიტიკის ერთადერთი და მთავარი მიზანია შექმნას კაცობრიობის საუკეთესო იდეალების შესაფერი ცხოვრება, ხოლო საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ერთადერთი და უცვლელი მიზანია ომის თავიდან აცილება, საბჭოთა კავშირისა და ყველა ქვეყნის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

გაზეთი „გუნჟენ ჟიბაო“ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხის სათაურში აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა და მოლაპარაკება „ცივი ომის“ ლიკვიდაციის საიმედო გზაა.

„ძეფანძიუნ ბაო“ სათაურში აღნიშნავს, რომ სადავო საერთაშორისო კვანძების თანდათანობით გახსნა ერთადერთი საიმედო გზაა, რომელსაც მოსდევს „ცივი ომის“ ლიკვიდაცია. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მომავალ მოლაპარაკებას და ჩაშალონ იგი, მძიმე პასუხისმგებლობას იკისრებენ ხალხების წინაშე ყველა შესაძლო შედეგისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი, წერს „ბეიძინ ჟიბაო“, აფრთხილებს შეერთებულ შტატებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ მოლაპარაკებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

## ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

### „ᲟᲔᲜᲛᲘᲜ ᲟᲘᲑᲐᲝ“ ᲡᲔᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**პეკინი**, 12 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სეატოს საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელიც დამთავრდა ველინგტონში (ახალი ზელანდია), შეიმუშავა გეგმები, რომ გაძლიერდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აგრესია შორეულ აღმოსავლეთში, შეიქმნას ახალი დაძაბულობა მსოფლიოს ამ რაიონში.

შავბნელ გეგმებს, რომლებიც სეატოს საბჭოს სესიის მონაწილეებმა შეიმუშავეს საყოველთაო მშვიდობის წინააღმდეგ, წერს „ჟენმინ ჟიბაო“, მკვეთრად გმობენ აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხები. საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა განცხადებანი სეატოს საბჭოს მორიგი სესიის შესახებ, აგრეთვე ის, რომ ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობა სამართლიანად გმობს ამ სესიის მონაწილეთა საქმიანობას, მოწმობს, რომ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან ბრძოლაში იმპერიალისტთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ შეიქმნას ახალი დაძაბულობა აზიაში.

სეატოს საბჭოს სესიამ, განაგრძობს გაზეთი, შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩარევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამოუკიდებელი ქვეყნების საშინაო საქმეებში, რათა ხელთ იგდონ მთელი ინდოჩინეთი და გააფართოონ სეატოს სფერო.

შეერთებული შტატები, აღნიშნავს „ჟენმინ ჟიბაო“, ცდილობდნენ გადაექციათ სეატოს საბჭოს ველინგტონის სესია ჩინეთზე თავდასხმისა და ცილისწამების ტრიბუნად.

აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფება მშვიდობიანი თანაარსებობისადმი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი უძლეველია, დაასკვნის გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს წერილი „დემოკრატიული ძალების კავშირის“ ბიუროსადმი მემარცხენე პარტიების ერთობლივი მოქმედების ორგანიზაციის საკითხზე. ეს მეორე წერილია, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გაუგზავნა „დემოკრატიული ძალების კავშირს“. პირველ წერილზე კავშირის ხელმძღვანელობამ პასუხში აღნიშნა, რომ შესაძლებელია ორი პარტიის თანამშრომლობა „გარკვეულ საკითხებში“.

◆ დასავლეთ გერმანიაში გრძელდება მილიტარისტული გამოსვლები, რომლებშიც აშკარად უწევენ პროპაგანდას ახალი ომის მომზადებისა და რევანშის იდეებს. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის მინისტრმა ობერლენდერმა, რომელიც ჰილდესჰაიმში გამოვიდა, კვლავ მოითხოვა დასავლეთის რაიონების ჩამოცილება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან. მან გაილაშქრა „გერმანიის საკითხზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გეგმის“ წინააღმდეგ, რამდენადაც ეს გეგმა არ სახავს ტერიტორიულ მოთხოვნებს ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთი ოლქების“ მიმართ.

◆ 11 აპრილს კამათის დროს დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში მთელმა რიგმა ორატორებმა მკვეთრად გააკრიტიკეს იტალიის მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

სოციალისტური პარტიის მდივანმა ნენიმ „გაუგონარი“ უწოდა საგარეო საქმეთა მინისტრ პელას გამოსვლას, რომელშიც მან განაცხადა, რომ სჯობია ატომური მოსპობის რისკი, ვიდრე „კომუნისტური ბატონობის“ რისკი. ნენიმ მკვეთრად გააკრიტიკა იტალიაში ამერიკის რაკეტული ბაზების შექმნა.

## ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-8 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

**ბრიუსელი**, 12 აპრილი. (საკდესი). მუშაობა დაამთავრა ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მე-8 ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობაზე გამოვიდნენ საზოგადოების ბრიუსელის, ანტვერპენის, ლიეჟის, გენტისა და სხვა განყოფილებათა დელეგატები. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ ბელგიის საზოგადოებრიობის ყველა ფენა ესწრაფვის განვითარდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, აღნიშნეს ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრთა რიცხვის დიდი ზრდა. დელეგატებმა მოუწოდეს საზოგადოების წევრებს განახორციელონ აქტიური მუშაობა ბელგიის მოსახლეობაში საბჭოთა მიღწევების პროპაგანდისათვის, დიდი საბჭოთა კავშირის შესახებ სიმართლის გავრცელებისათვის. ორატორებმა მოსთხოვეს ბელგიის მთავრობას განახორციელოს ბელგია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ შეთანხმების განხორციელება ემსახურება, უწინარეს ყოვლისა, თვით ბელგიის ინტერესებს. აირჩიეს ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული კომიტეტის ახალი შემადგენლობა — 97 კაცი.

# საერთაშორისო მიმოხილვა

◆ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ ◆ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ◆ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

დასავლეთის სახელმწიფოთა ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ნაბიჯი მას შემდეგ, რაც ისინი დათანხმდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისა და უმაღლესი დონის თათბირის მოწვევაზე, იყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის (ნატოს) საბჭოს ეგრეთწოდებული საიუბილეო სესია. და უნდა ითქვას, რომ ეს სესია, რომელიც ვაშინგტონში მიმდინარეობდა, ითვალისწინებდა მომავალ მოლაპარაკებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მან მიიღო, კერძოდ, ოთხი (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის) საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება, რომელშიც ლაპარაკი იყო „გულწრფელ სურვილზე გაიმართოს საბჭოთა კავშირთან კონსტრუქციული მოლაპარაკება მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის“. მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეგავლენით ნატოს ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება აუცილებელია. მაგრამ მათ არც ერთი კონსტრუქციული წინადადება არ წამოუყენებიათ და სრული დუმილით აუარეს გვერდი საბჭოთა მთავრობის 29 მარტის განცხადებას, რომელიც შეიცავს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისაკენ ძირეული მობრუნების უზრუნველყოფისათვის მოქმედების ფართო პროგრამას.

ნატოს საბჭოს მონაწილეებს არაფრით არ დაუდასტურებიათ აგრეთვე თავიანთი, როგორც თვითონ ამბობენ, „გულწრფელი სურვილი“ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი მოლაპარაკების დროს, რომელიც ჟენევაში უნდა შედგეს, მიაღწიონ ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს შეესაბამება. პირიქით, ნატოს საბჭოს სხდომების დამთავრების შემდეგ მათ გამართეს მთელი სერია მილიტარისტული დემონსტრაციებისა ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, აგრეთვე ნორფოლკში, სადაც ატლანტის ოკეანეში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ადმირალ რაიტის შტაბ-ბინაა.

ამერიკულმა პრესამ, რომელიც ძუნწად აქვეყნებდა ცნობებს ნატოს საბჭოს სხდომების შესახებ, რომლებიც დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა, ფართოდ გაავრცელა საბჭოს მონაწილეთა მიერ საზეიმო სადილებსა და სამხედრო დათვალიერებებზე წარმოთქმული აგრესიული სიტყვები. ამ სიტყვებს ტონი მისცეს ნატოს გენერალურმა მდივანმა სპააკმა და ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ნორსტედმა. ისინი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებიან დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციაზე, და ყოველნაირად ასხამდნენ ხოტბას ეგრეთწოდებულ „ამერიკულ დახმარებას“, რომელმაც, მათი აზრით, განსაკუთრებული ზემოქმედება უნდა მოახდინოს ჟენევის მომავალ მოლაპარაკებაზე.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მესვეურთა ასეთი პოზიცია ხელს ვერ შეუწყობს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის საკითხის გადაჭრის შესახებ მოლაპარაკების წარმატებას. ამას ხელს არ უწყობს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის მიერ ამას წინათ გეტისბერგის კოლეჯში წარმოთქმული სიტყვა. ამ გამოსვლაში მეორდება „ომის ზღვარზე ბალანსირების“ პოლიტიკის მომხრეთა ძირითადი დებულებანი და ხოტბა აქვს შესხმული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის“ პროგრამას, რომელიც არსებითად სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევის პროგრამაა.

ხალხებს კი უფლება აქვთ მოელოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი შეხვედრის ნაყოფიერ შედეგებს. ისინი მოითხოვენ, რომ ამ შეხვედრამ მშვიდ, საქმიან ვითარებაში ჩაიაროს, რომ უარყოფილ იქნას ყოველგვარი ცდები გაატარონ ჟენევაში „ძალის პოზიციის“ უკვე დიდი ხანია გაკოტრებული პოლიტიკა. „ახლა საქმე ის არის, — ნათქვამია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხში გაზეთ „პრავდის“ რედაქციის კითხვებზე, რაც 10 აპრილს გამოქვეყნდა, — რომ მოთმინება გამოვიჩინოთ და ისეთი არაფერი გავაკეთოთ, რაც ხელს შეუშლის ბერლინის საკითხის, ისევე როგორც გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის — ამ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების სწორად გადაჭრას მშვიდობის განმტკიცებისათვის და ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით“.

* * *

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში დამთავრდა სეატოს საბჭოს სესია. (სეატო — აგრესიული სამხედრო კავშირია, რომელშიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია და აზიის სამი სახელმწიფო — პაკისტანი, ტაილანდი და ფილიპინები). საბჭოს სხდომებზე განიხილავდნენ აზიის დამოუკიდებელი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის სხვადასხვა საშუალებებს, ახალი სამხედრო ავანტიურების და სეატოს ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა გაერთიანების გეგმებს. განხილულ იქნა მობილური სამხედრო კონტინგენტების, ე. ი. აზიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვისათვის განკუთვნილი გაერთიანებული დამკვრელი ძალების შექმნის პროექტები. საბჭოს წარედგინა სამხედრო მრჩეველთა თათბირის მოხსენება. ამ მოხსენებაში, როგორც გამოქვეყნებულ კომუნიკეშია ნათქვამი, მრჩევლებმა კმაყოფილება გამოთქვეს სამხედრო დაგეგმვის წარმატებათა გამო და მოიწონეს მომავალი სისტემა სამხედრო მანევრებისა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სეატოს „მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების მოქმედების კოორდინაციის მუდმივ გაუმჯობესებას“.

სესიის მონაწილეთა გამოსვლები შეიცავდა პროვოკაციულ მოწოდებებს „საერთაშორისო კომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ბინძურ ცილისმწამებლურ გამოხდომებს აზიის იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც არ ისურვეს სეატოს დამორჩილებოდნენ. თავისი გადაწყვეტილებებით სესიამ კიდევ უფრო გაამწვავა საფრთხე აზიის ხალხთა უშიშროებისათვის და დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს განზრახული აქვთ გააძლიერონ თავიანთი სამხედრო პროვოკაციები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში.

ამერიკელ იმპერიალისტთა გეგმებს შორეულ აღმოსავლეთში უპირდაპირდება აზიის ხალხთა ერთიანი მისწრაფება მშვიდობისადმი. ამ ხალხებს უკვე საკმაოდ ბევრი შემთხვევა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ სეატო იმპერიალისტური აგრესიის პირდაპირი იარაღი და კოლონიურ სახელმწიფოთა პოლიტიკის გამტარებელია. და ისინი აძლიერებენ თავიანთ ბრძოლას სეატოს შეთქმულებათა წინააღმდეგ, რადგან მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მათს მხარეზეა სამართალი, სამართლიანობა და მთელი პროგრესული კაცობრიობის მძლავრი მხარდაჭერა.

**ვ. ლინეცკი.**



„მხატვრის დღის“ აღსანიშნავად 12 აპრილს სამხატვრო გალერიაში მოეწყო

## ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ

ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, მხატვართა სალონში და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ხეივანში კი — მხატვრულ ნაწარმოებთა ბაზრობა.

გამოფენაზე წარმოდგენილია მოქანდაკეების: ი. ნიკოლაძის, ვ. თოფურიძის, ს. კაკაბაძის, კ. მერაბიშვილის, დ. გაბაშვილის, ფერმწერლების: ლ. გუდიაშვილის, ქ. მაღალაშვილის, კ. სანაძის, რ. სტურუას, გ. ჩირინაშვილის, ა. ბანძელაძის, ზ. ნიჟარაძის, დ. ბერძენიშვილის, ე. ბაღდავაძის, ა. ბაჟბეუქ-მელიქოვის, გრაფიკოსების: ი. გორდელაძის, გ. ანფიმოვის, თ. ყუბანეიშვილის, დ. ქუთათელაძისა და სხვათა ნამუშევრები.

დამთვალიერებელთა ერთი ნაკადი მხატვართა სალონისაკენ გაემართა. სალონის კედლებს ამშვენებს სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნამუშევრები. მნახველს ძირითადად იტაცებს ახალგაზრდა მოქანდაკე ნელი ოქროპირიძის საუცხოო მინიატურები, კარიკატურული, შარჟული სურათები, ქართული ზღაპრების ილუსტრაციები. მხატვარს მასალად გამოყენებული აქვს რკო, სოკო, ხის ქერქი, კენწეროები.

მეორე მხარეზე გამოფენილია ქართული ღვინის, კონიაკის, საკონდიტრო ნაწარმის ეტიკეტების ნიმუშები. იქვეა საინტერესოდ შესრულებული ექსლიბრისები.

ერთ-ერთი განყოფილება ფერწერას უჭირავს. აქ გამოირჩევა ლ. გუდიაშვილის „სიმღერა სამშობლოზე“, გ. ჩირინაშვილის „ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი ძნით ხელში“, ბ. სანაკოევის „მშობლიური სიმღერა“ და სხვ.

ხეივანში შესანიშნავი ფერებით და დიდი სიყვარულით შესრულებული ნამუშევრებია გამოფენილი. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ ბევრი სურათი შეიძინა. ექიმმა რ. რობიტაშვილმა იყიდა უ. ჯაფარიძის „კამეჩები“. რ. თარხან-მოურავის ლინოგრავიურები სტამბის მუშა კ. მაისურაძემ და მფრინავმა გ. ნოდიამ გაინაწილეს. სწრაფად გაიყიდა ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, გ. ცეროძისა და სხვათა ნამუშევრები.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში დეკორაციული ხელოვნების გამოფენაა მოწყობილი. პირველი სართულის ერთი დიდი ოთახის კედლებს მხატვარ მ. გორბაჩოვას მრავალი სახის სადეკორაციო ნამუშევარი ამშვენებს. დოლბანდის და უბრალო ქსოვილისაგან შესანიშნავად არის გაკეთებული საზაფხულო კაბის, ფარდების, სუფრების, ხალიჩების, კოსტიუმების ნიმუშები. მეორე სართულზე მოთავსებულია სპექტაკლების დეკორაციების ესკიზები, რომლებიც დ. თავაძის, მ. სეხნიაშვილის, ვ. მესხის, ვ. გოგუას, ქ. ლებანიძისა და სხვათა მიერ არის შესრულებული.

გამოფენა მოწყობილია აგრეთვე მხატვართა კლუბში.

„მხატვრის დღისადმი“ მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. სადამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ქიქოძემ. მოხსენება თემაზე „მხატვრის დღე“ წაიკითხა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ უ. ჯაფარიძემ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პოეტმა კ. კალაძემ. ამხ. ვ. ქიქოძემ დიპლომები გადასცა ახალგაზრდა მხატვრებს გ. ოჩიაურს, დ. ნოდიას, მ. ბერძენიშვილს, გ. გელოვანს, რომელთა ნამუშევრებმა მოსკოვში კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაში კარგი შეფასება მიიღეს.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

**თ. ღვინიაშვილი**

სურათზე: მხატვრის დღისადმი მიძღვნილი წიგნის ბაზრობა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

12 აპრილს დაიწყო საქართველოს 1959 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა პირველი კალენდარული შეხვედრები. მატჩების შედეგები ასეთია:

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) - „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) - „კოლმეურნე“ (ქობულეთი) 3:0, „სპარტაკი“ (ცხაკაია) - „სპარტაკი“ (სტალინირი) 2:3, „მაღაროელი“ (ჭიათურა) - „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „სხივი“ (რუსთავი) - „დინამო“ (ქუთაისი) 1:1, „იმერეთი“ (ქუთაისი) - „კოლმეურნე“ (მახარაძე) 1:1, 26 კომისრის რაიონის გუნდი (თბილისი) - „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 0:2.

• • •

გასულ კვირადღეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ერევნის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობას შორის. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

### ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეხუთე ტურში ს. ოლაფსონმა დაამარცხა ა. ლუტიკოვი. ვ. სმისლოვ-მ. ფილიპისა და ბ. სპასკი-ზ. მილევის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ლ. არონინი-ბ. სპასკი და ბ. ლარსენი-ვ. სიმაგინი ყაიმით დაკძაყოფილდნენ.

5 ტურის შემდეგ წინ არის გროსმაისტერი სმისლოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. 12 აპრილს შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ.

• • •

არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში. პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ჩეხოსლოვაკიისა და არგენტინის გროსმაისტერებმა ლ. პახმანმა და მ. ნაიდორფმა, რომლებმაც 14 შესაძლებლიდან ათნახევარ-ათნახევარი ქულა შეაგროვეს. მომდევნო ორი ადგილი გაინაწილეს იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ბ. ივკოვმა და რ. ფიშერმა (ათ-ათი ქულა).

### ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

⊙ 12 აპრილს მოსკოვში შედგა კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი. თამაშობდნენ იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასა“ და მოსკოვის „დინამოს“ კოლექტივები. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 58:33.

⊙ ვენასა და გლაზგოში საბჭოთა კავშირის მოკრივეებმა გამართეს ორი საერთაშორისო შეხვედრა. ვენაში სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვებისა“ და ავსტრიის კლუბის „აუსტრიას“ გუნდებს შორის შეხვედრა დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ მოკრივეთა გამარჯვებით 10:0. გლაზგოში სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა შოტლანდიის მოკრივეთა კოლექტივი 7:3.

⊙ მოსკოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან და კოშკურიდან წყალში ხტომაში 200-მდე უძლიერესი სპორტსმენის მონაწილეობით. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყვნენ ნ. კრუტოვა (მოსკოვი) და ვ. მიშინი (ლვოვი), კოშკურიდან ხტომაში — ნ. კრუტოვა და გ. მეზინი (მოსკოვი).

## ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

### „ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲕᲢᲝᲕᲔᲑᲗ...“



გუშინწინ საქართველოში ყოფნის მესამე დღეს, კინოფირმა „იუნიფრანსფილმის“ გენერალური დირექტორი რობერ კრავენი, ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი ჟაკ ბეკერი, გამოჩენილი ფრანგი კინომსახიობი ქალები პასკალ პეტი, პასკალ ოდრე, ფრანსუაზა ფაბიანი და საფრანგეთის კინომოღვაწეთა დელეგაციის სხვა წევრები გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. კოლმეურნეობაში მისვლამდე მათ გზად შეიარეს ქ. გურჯაანში, რომლის რაიონულ კულტურის სახლში მოხდა ფრანგი კინომუშაკების გულთბილი, მეგობრული შეხვედრა გურჯაანელ კოლმეურნეებთან.

გურჯაანის შემდეგ ფრანგი კინომუშაკები გაემგზავრნენ ველისციხის კოლმეურნეობაში, სადაც დაათვალიერეს ზვრები, ხოლო შემდეგ ველისციხელმა კოლმეურნეებმა სტუმრები მიიწვიეს ტრადიციულ ქართულ სუფრაზე. ფრანგ სტუმრებს ძალიან მოეწონათ კახური ღვინოები და საუბარში განაცხადეს, ფრანგული ღვინოები ხომ საქვეყნოდ ნაქებია, მაგრამ თქვენმა კახურმა ღვინოებმა ისინი გაახუნაო. საერთოდ ლარუსის ცნობილ ენციკლოპედიურ ლექსიკონში, — შენიშნეს აგრეთვე სტუმრებმა, — ქართველები, და კერძოდ ქართველი ქალები, თავიდანვე ულამაზესებად არიან მიჩნეული. მხოლოდ ამ ბოლო გამოცემებში რატომღაც ეს მოხსენიებული აღარ იყოო. სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ჩვენ შესწორება შევიტანთ, ვინაიდან ქართველ ქალებს, ისევე როგორც ქართველ ჭაბუკებს, არა მარტო შინაგანი სულიერი სილამაზე აქვთ, არამედ, რაც არანაკლებ მთავარია, გარეგნულადაც ულამაზესი და მომხიბლავნი არიან. მართალია, ჩვენ აქ ხანმოკლე სტუმრები ვიყავით და მივდივართ, მაგრამ გულს აქ, საქართველოში, ვტოვებთო.

გუშინწინ, საღამოს, სტუმრები თბილისში დაბრუნდნენ, ხოლო გუშინ დილით თბილისიდან „ტუ-104“-ით მოსკოვში გაფრინდნენ. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ჭიაურელმა, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა ა. ძიძიგურმა, კინოდრამატურგმა გ. მდივანმა და კინორეჟისორებმა ს. დოლიძემ, ნ. სანიშვილმა, კინომსახიობმა მედეა ჯაფარიძემ და თბილისის კინოსა და თეატრალური საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა.

**დ. გველესიანი**

სურათზე: ფრანგი კინორეჟისორი ჟაკ ბეკერი და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გ. კაკალაშვილი წარმოთქვამენ ქართველი და ფრანგი ხალხების მეგობრობის სადღეგრძელოს.

ფოტო კ. ფერაძისა.

**რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.**

## ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების მოგებათა 33-ე ტირაჟისა, რომელიც ჩატარდა ქ. ფოთში, 1959 წლის 2 აპრილს

მოგება ხვდა ანგარიშების შემდეგ ნომრებს:

| ანგარიშების №№ | მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან | ანგარიშების №№ | მოგებათა ოდენობა პროცენტობით ანაბრის საშუალო თანხასთან |
|---|---|---|---|
| 24 | 25% | 522 | 25% |
| 58 | 25% | 570 | 25% |
| 82 | 50% | 631 | 25% |
| 153 | 100% | 672 | 25% |
| 160 | 200% | 702 | 25% |
| 218 | 25% | 739 | 50% |
| 271 | 25% | 764 | 25% |
| 291 | 25% | 804 | 25% |
| 357 | 25% | 854 | 25% |
| 398 | 100% | 894 | 25% |
| 415 | 25% | 959 | 25% |
| 456 | 25% | 984 | 25% |
| 506 | 25% | — | — |

შემნახველ სალაროებში, სადაც ანგარიშების რიცხვი ათასზე მეტია, მოგება ყველა მომდევნო ათასეულში ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. 1024, 2024, 3024, 1058, 2058, 3058 და ა. შ.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე — ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **რ. ცომაია.**

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. ლომთაძე.**

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსი **რ. ხოშერია.**

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 02313 საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3